№2719 2015 წლის 18 დეკემბერი ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის და მისი ზოგიერთი ა(ა)იპ -ის მიერ სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ - თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრმა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ - თბილისის ევროპულმა ახალგაზრდულმა ცენტრმა ახალი წლის დღესასწაულის აღნიშვნასთან დაკავშირებული საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელონ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებებიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**